ხელშეკრულება № 168
გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვის
განხორციელების შესახებ
(CPV - 31531000)

თბილისი **„30" „ნოემბერი" 2017 წ.**

ერთი მხრივ, **სსიპ „მწერალთა სახლი"** (შემდგომში - „შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორ-მენეჯერის ნატალია ლომოურის სახით და მეორე მხრივ, **შპს „ახალი ნათება"** (შემდგომში – „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის თემურ არდოტელის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი „ს[1]" პუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად ,,მიმწოდებელი" უზრუნველყოფს ,,შემსყიდველისათვის" დანართი №1-ით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებას.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **46,35** (ორმოცდაექვსი ლარი და 35 თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს".

3. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1.„მიმწოდებელი" უზრუნველყოფს ,,შემსყიდველისთვის", ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარისწორებით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. "მიმწოდებელი", ფაქტიურად მოწოდებულ საქონელზე "შემსყიდველთან" ადგენს მიღება-ჩაბარების აქტს, რის საფუძველზეც წარუდგენს საგადასახადო დოკუმენტებს (ანგარიშ-ფაქტურა; სასაქონლო ზედნადები) საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადით.

4.3. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

4.4. დაფინანსების წყარო: **საკუთარი შემოსავლები.**

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე "შემსყიდველის" მიერ იმ ,,საქონლის" მიღება, რომელიც უნდა მიაწოდოს "მიმწოდებელმა" ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული პირობებითა და წესით.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიღების დროს საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს "მიმწოდებელი".

5.3. ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2. პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, არ მოხდება თანხის გადახდა, ხოლო საკითხის 10 დღის ვადაში მოუგვარებლობის შემთხვევაში, "შემსყიდველის" მიერ მიიღება გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე ან არაჯეროვნად შესრულებაზე მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. "მიმწოდებელი" ვალდებულია:

ა) დროულად და ხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები.

ბ) დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის" თანხის გადახდა ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2. პუნქტის შესაბამისად.

ბ) დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში.

8.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარებმა დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

8.3. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

9.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. სადავო საკითხების გადაწყვეტა

10.1. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა გარემოების ირგვლივ.

10.2. თუ "შემსყიდველი" და "მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ 30 დღის ვადაში სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით, შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

11. ხელშეკრულების კონტროლი

11.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ინსპექტირების ჯგუფი.

11.2. "შემსყიდველს" ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლი.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

ა) მხარეთა შეთანხმებით.

ბ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 10 იანვრის ჩათვლით.

14. სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

14.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება - ,,მიმწოდებელთან'', მეორე -,,შემსყიდველთან''.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"

სსიპ „მწერალთა სახლი"
ს/კ 205299005
მის: ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის №13
ტელ: 2 9741 01/ 02
<u>საბანკო რეკვიზიტები:</u>
სახელმწიფო ხაზინა
TRESGE22
სახაზინო კოდი 33 02 01 26

დირექტორ-მენეჯერი:

ნატალია ლომოური

„მიმწოდებელი"

შ.პ.ს. „ახალი ნათება"
ს/კ 202066156
მის: თბილისი, ა.ყაზბეგის გამზ. № 25ა
ტელ: 220 24 24
<u>საბანკო რეკვიზიტები:</u>
კოდი: MIBGGE22
სს „პროკრედიტ ბანკი"
GE74PC0053600100013179

აღმასრულებელი დირექტორი:

თემურ არდოტელი

დანართი N1

N	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება
1	ნათურა E27/60W გამჭვ. CLAS B CL60	10	1,485	14,85
2	ნათურა TOP E27/60W დაბ. CLAS P FR OSRAM	10	1,44	14,40
3	ნათურა E27/60W დაბურული PHILIPS	10	1,71	17,10

ჯამი : 46,35 ლარი

„შემსყიდველი“

სსიპ „მწერალთა სახლი“

დირექტორ-მენეჯერი

ნატალია ლომოური

„მიმწოდებელი“

შ.პ.ს. „ახალი ნათება“

აღმასრულებელი დირექტორი:

თემურ არდოტელი